წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ოთხშაბათი ოქტომბრის 25—(7) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 11 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 [illegible]
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან შილებული განცხადება ღირს [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 158    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 158

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 ოკტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ექვთიმე მიქელის ძე კუხიანიძე**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს: მეუღლე ანა ივანეს ასული, შვილები: ივანე, შალვა, ეკატირინე გენძეხაძისა, დაი ლიუბა კუპრაშვილისა, რძალი პელაგია დარისპანის ასული კუხიანიძისა. ძმები: საბა და ალექსი მიქელის ძენი კუხიანიძეები, სიძეები: პავლე ანდრიას ძე გენძეხაძე და გრიგოლ კუპრაშვილი, შვილის-შვილები: დათიკო, კარლო და ბარბალე ივანეს ძე და ასული კუხიანიძეები, რაჟდენ, ბაბილო, ანა, გრიგოლი, ნინა, შალვა და ნადია პავლეს ძენი და ასულნი გენძეხაძეები. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, სოფ. ქვემო მესხეთში დღის 12 ს.

## არ დაივიწყოთ

გამოძიება, შეტანილი ხართ თუ არა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში. თუ ეს ამ თვის 27-დის არ გამოიძიეთ თქენ ხმას დაჰკარგავთ და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ. ამით დამფუძნებელ კრებაზე თქვენი ხმით გავლენას ვეღარ მოახდენთ. სიების შესწორება 27 თავდება.

### საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

### საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამწლევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის სოდა და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება „ქორონინი“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები, ფასები ზომიერია.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.

23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

**დატყვევებული ქალაქი გენტი**

შავი ორქიდეა დრამა 3 ნაწილად კეტლინ ვილიმსის მონაწ.

1 ნაწ. გარნიზონის კერპი. 2 ნაწ. მხეცთა შორის. 3 ნაწ. მხეცნი და ადამიანები.

ხხვის ლხინში ქეიფი კომიკური.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი.

23, 24 და 25 ოქტომბერს ნაჩვენები იქნება

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები.

**ს ე ვ დ ა**

დრამა 4 ნაწილად, ელენა მაკოვსკისა და ტულიო კარმინატის მონაწილეობით.

1 ნაწ. ცისკარი (რიჟრაჟი). 2 ნაწ. შუადღე. 3 ნაწ. მწუხრი. 4 ნაწ. ღამის წყვდიადი.

ჯერი კომიკურის მაგიერ კომიკური.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლ. [illegible]ქიფიანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ახალი განსაცდელი.

იმ დროს, როდესაც ვსტირით ამიერ-კავკასიის დამშევაზე,—გარედან სურსათის შემოზიდვა შეუძლებელი გახდა, ჩრდილო კავკასია, რომლის ბეღელიც გასულ წლებში ჭირნახულს გვაწვდიდა, წელს უარს გვეუბნება. დავრჩით საკუთარი ბედის ანაბარათ.

აი, ასეთ უკიდურეს გაჭირვების დროს გამოვიდა სამხედრო უწყების განკარგულება, რომლის ძალით ამ ზამთარში ამიერ-კავკასიის ჯარის კაცების სახით რამდენიმე ასი ათასი მცხოვრები ემატება. დამშეულ ქვეყანაში როგორ უნდა გამოიკვებონ ეს ჯარისკაცები? ცხადია, მათთვის საჭირო სურსათს ადგილობრივ მცხოვრებთ მოსთხოვენ. იმერეთის სოფლებში უკვე დაიარება სამხედრო აგენტი და აგროვებს სხვა და სხვა სანოვაგეს ლაშქრისთვის. მტკიცება არ უნდა, რომ ეს მოვლენა სიმშილის სისაშინელეს გააორკეცებს.

ამის გარდა ამიერ-კავკასიაში, ჯარის დაბინავებას კიდევ მეორე საყურადღებო მხარე აქვს, რომელიც ჩვენი ხალხისთვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს. სად არის ბინა ასეთ მრავალრიცხოვან ჯარისთვის? ვინ უზრუნველმყოფს იმისგან, რომ თავაშვებული უწესრიგო ჯარი ამ ზამთარს მასიურ რბევას არ შეუდგება, როგორც იგი, რუსეთში სჩადის და რა გვარიც ქ. ქუთაისმაც იწვნია ამას წინათ.

როგორც გავიგეთ ქ. ახალ სენაკში საზამთრო საბანაკოთ ჰგზავნიან რამდენიმე ათასს ჯარის; კაცს ჩვენ ვიცით, რომ სამეგრელო დამშეულია მაშ როგორ უნდა შეინახოს ეს ჯარი? ჩვენ ვიყავით ქ. სამტრედიაში და ვნახეთ, თუ როგორ იქცევიან მოსული ჯარის-კაცები,—მათ ჩამოუყვანიათ ცოლშვილი. ახლა სამტრედიაში სანოვაგე არ არის, ჯარის კაცები თავის ცოლებით ეძებიან მახლობელ მცხოვრებთ და ართმევენ როგორც სოფლელები ამბობენ ძალით ყველაფერს. ახალი განსაცდელი მეტად სერიოზულია. ადგილობრივ მმართველობას ჰმართებს ახლავე ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, საქმეში უნდა ჩაერიოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი და ცენტრალ მმართველობას მოეთხოვოს, რომ. ამიერ-კავკასია გაანთავისუფლოს ახალ განსაცდელისგან. ეს უნდა მოხდეს დაუყონებლივ, სასწრაფოთ, თორემ ხვალ უკვე მომხდარ არა სასურველ ფაქტთან გვქნება საქმე და ზომათა მიღებაც უნაყოფოთ ჩაგვივლის.

**ი. იმერელი.**

## დიდი კითხვა.

ამიერ კავკასიაში მოსახლე ერთა სოლიდარობა ამ ჟამათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ეს კარგათ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული თითოეულ ცალკე ეროვნებას, პარტიულ მიმდინარეობათ და სოლიდარობის კითხვას პირდაპირ ანგარიშს უწევდენ. ეს ერთი ხანია ქართული და რუსული პრესა სტამბავს ოფიციალ ცნობებს ამიერ კავკასიის მთიელთ შორის საურთიერთო განწყობილების გამწვავების შესახებ.

დღეს დავა აქვთ ერთის მხრით ქისტებს და მეორეს მხრით ხევსურებს, ფშავებს, და თუშებს. მოხდა რამდენიმე შეტაკება რასაც მოჰყვა ქართველი მთიელების ამოწყვეტა ქისტების მიერ. ლეკები, ჩაჩნები და ინგუშები ემზადებიან „სათარეშოთ“. ლეკები ამას წინათ კიდეც დაეცენ კახეთის სოფლებს და დიდი აწიოკება ზარალი მიაყენეს.

უწინარეს ყოვლისა საჭირო არის სისწორით და სინამდვილით გამოირკვეს, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა მთიელთა ქიშპობა და რამ შეუწყო მას ხელი. მოსალოდნელია მთიელთა განწყობილების გამწვავებას დიდი გაძნელება და უბედურება მოყვეს. ბოროტი ენებისგან მოისმის, რომ აღელვებული არიან აფხაზები და „მთიელთა ამბებში“ მონაწილეობის მიღებას სცდილობენო.

ახლა არ შეიძლება რაიმე გარკვეულის თქმა, როგორც მოგახსენეთ, უნდა დაუცადოთ საქმის ნამდვილ ვითარების გამოაშკარავებას. მთიელთა არა სასურველი მოძრაობა დიდ საფრთხეს უქადის კავკასიის იმ ერთ, რომელთაც პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება აქვთ უახლოვეს მიზნათ დასახული.

ქართველებს განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს.

მთიელთა მტრულად აღძვრას ყველაზე დიდი ზიანის მოტანა ჩვენთვის შეუძლია. უაღრესათ სამწუხარო იქნება, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგოთ ამდგარ მთიულების მოსარიგებლათ საჭირო გახდეს ცენტრალ მთავრობის ჩარევა, რადგან ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს ცენტრალ სფეროში; ეს ცენტრალი სფეროც ყოველ საბაბს ეძებს, რათა დაამტკიცოს, რომ არა რუს ერებს უაპეკუნოთ და თავისუფლათ ცხოვრება არ ძალუძთ. მთიელთა კითხვა უნდა გადაიჭრას ადგილობრივ, ამისთვის საკმაო ენერგია უნდა გამოიძებნოს ამიერ კავკასიის ერთა შორის. ყველაზე დაინტერესებული აქ ქართველები ვართ ჩვენ ვიღწვით თავისუფალ ცხოვრებისთვის, რისთვისაც გვინდა შესაფერი პირობები, როგორც შიგნიდან ისე გარედან.

აქვე ავღნიშნავთ შემდეგ სერიოზულ გარემოებას. მთიელებს აქვთ თავის საკუთარი ზნე ჩვეულება მამაპაპური ადათი, რომელსაც თავ გამოდებით იცავენ. ამ ხალხს ყოველი ახლათ მისული (თუნდა მმართველი) არა ჩვეულებრივ „მოყვარეთ“ ეჩვენება. გაიხსენეთ წარსული ომები მთის ხალხთან. ალ. ყაზბეგის მოთხრობანი მთიელთა ცხოვრებიდან.

„მოდებს“ ისე ადვილათ ვერ ითვისებს მთიელი, როგორც ეს ბარში ხდება. ერთმა მთის მცხოვრებმა გვითხრა: „ამ რევოლუციის შემდეგ ძლიერ შეუფერებელი მოთხოვნილება წარმოგვიდგინეს, ხან იყო დაგვიჟინეს იარაღი აიყარეთო, ხან მატყლი და საქონელი მხოლოთ ჩვენ მოგვყიდეთო, ერთი სიტყვით კომიტეტები ხელს გვაღებინებდენ ჩვენს უფლებაზე“. მოყვანილ სიტყვებიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა სიფრთხილე არის საჭირო მთიელთა მიმართ. ძალით, შეშინებით მთიელებთან მისვლა კატასტროფას მოგვივლენს. ამაზე მიუთითებთ ჩვენ ძლიერ პარტიას, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნის გამგებლობა აქვს ნაკისრი და პასუხიც მან უნდა აგოს.

ორიოდე სიტყვა „სოლიდარობის მქადაგებელზე“. გაზ. კავ. სლოვო ძილშიც კი სოლიდარობას ჰქადაგობს. მაგრამ მაგარი ის არის, რომ მისი ქადაგი განშორდება. თუ არა რედაქციის კედლებს საშინელ შხამათ იქცევა.

„კავკ. სლოვო“ ჩქარობს და სწადს მომხდარ ამბების მიზეზათ ქართველები გამოიყვანოს, მიუხედავათ იმისა, რომ ყველაზე მეტი სოლიდარობის დაცვაში დაშნაკელებმა შესცოდეს, თავის შოვინისტურ უსამართლო გამოსვლებით.

ამ გამწვავების მალამოს მოსაცხებათ საჭიროა მოვიკრიფოთ მეტი ენერგია და დაწყებისთანავე ძირში ამოვგლიჯოთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება!

**ირ—დი.**

# ქართული პრესა

გაზ. „საქართველო“ მეთაურ წერილს უძღვნის ქართველ თავად-აზნაურობის იმ კითხვას, თუ ვის უნდა გადაეცეს ხსენებულ თავადაზნაურობის ქონება. ოქტომბრის 29-ს ეს კითხვა განსახილველად დაისმება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში. წერილი მოგვყავს უცვლელად.

ოფიციალად გამოცხადდა, რომ 29 ოქტომბერს, თბილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში საგუბერნიო თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე განხილულ იქნება ამ წოდებების ქონების საკითხი, თუ ვის უნდა გარდაეცეს იგი.

პირველ შეხედვისთანავე საკითხი იგი თითქოს მარტივია: გარდავცეთ ერთერთს მომქმედ პარტიას, ან და ყველას თანაბრად, უკეთეს შემთხვევაში რომელიმე დაწესებულებას. აკი საზოგადოებაშიც სწორედ ასეთი აზრი, გავრცელებული. უმრავლესობის აზრი კი დასტრიალებს ინტერპარტიულს ბიუროს, მან უნდა ჩაიბაროს ეს ქონება, იგი უნდა გაჰხდეს ბატონ-პატრონი ამ ქონებისათ.

ჩვენ არც ერთს ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ და აი რატომ: როდესაც ეს საკითხი წამოყენებულია რუსეთში, არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ რუსეთის თავად-აზნაურთა ქონების ჩამორთმევა დიდს სადავიდარაბო საკითხს არ წარმოადგენს, ვინაიდან ვიცით, რომ ეს ქონება გადავა სახელმწიფოს ორგ ნოს ხელში. ავია თუ კარგია ეს ორგანო, სულ ერთია, იგი იურდიული ძალაა, უზენაესი ბარომეტრია მთელი რუსეთის მართვა გამგეობისა. პარალელურად თუ ჩვენს ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ამისი მზგავსი არა მოგვეპოვება-რა. ოფიციალად თუ არა ოფიციალად დღემდე ერის ლალაობას ავად თუ კარგად ისევ თავად-აზნაურობა სწევდა, ყოველს დარგში, ყოველს სფეროში შეჰქონდა თავისი წვლილი, თავის ქონებიდან (და რუსეთში ხომ სიმდიდრით ქართველ თავად-აზნაურობას მეორე ადგილი უჭერია), უხვად აწვდიდა ყველას, სათანადო თანხებს აღებდა საჭიროებისაებრ დაწესებულებათა თუ სხვა რამ ეროვნული საქმეებისთვის. და აი, დღეს ეს უზარმაზარი ქონება უნდა გადაეცეს ვის?—პარტიებს! რათა და რისთვის? არც ერთი პარტია არაა, რომელსაც შეეძლოს ერის პასუხისმგებლობა იკისროს. თვით ინტერპარტიული ბიურო თავის თავად ჰგულისხმობს, რომ იგი ბიურო იქნება და არა სუვერენული ორგანო! მაშასადამე, თავად-აზნაურობას არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს ქონება და ჰარნახული საუკუნოებისა უბრალოდ გადასცეს მას.

მაშ როგორ უნდა მოიქცეს? აქ აჩქარება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ არ ვიყავით დამოკიდებელნი და მოვწყდით საკუთარს მართვა-გამგეობის ძალით ჩვენ უფრო, ვიდრე რუსეთის შემადგენელ სხვა რომელიმე ერს, გვაქვს უფლება საკუთარი ეროვნული ორგანო გვქონდეს. ჩვენი სურვილია, რომ ინტერპარტიული ბიურო სწორედ ამ ორგანოდ იქცეს, აღიჭურვოს იურიდიული პიროვნების ძალა-უფლებით, შეიმოსოს მთელი ერის ნებისყოფის გამომხატველ ორგანოს ნდობით, გვაჩვენოს ეროვნული საქმიანობა ყოველ დარგში, პოლიტიკურს სარბიელს მისცეს გარკვეული ხაზი, გარკვეული გზა და მაშინ მიიღოს ეს ქონებაც. ვიდრე ეს ასე არ იქნება, არავითარი ისეთი იაფფასიანი იარლიკი, როგორიც არის „ბიურო“ რასაც თითქმის ყოველგან და ყოველისფერზე მიკრულს ვხედავთ, არაა საკმარისი. დაე, ჩამოყალიბებული სახე გვიჩვენოს მან და მიიღოს ქონებაც და ქართველი ერის უკანასკნელი სისხლის წვეთიც. ისტორიულს უსამართლობას და შეცდომას დაუშვებთ, ვიდრე ეს ასე არ მოხდება, ქონება იგი ანდეროთ ვისმეს...

მაგრამ ვიდრე ეს ასე მოხდებოდ ს, თვით საქმეს ვითარება არა თეორიულის მოსაზრებით, არამედ პრაქტიკულის ნაყოფიერების გულისათვის, უნდა მოწვეულ იქმნეს ეროვნული კრება და მისგან მიიღოს ერთგვარი საჭირო მანდატი გარდამწყვეტ ნაბიჯის გადასადგმელად.

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**დამფუძნებელი კრება.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 21. დაიწყო გლეხთა საოლქო ყრილობა. ყრილობას ესწრება 500 წარმომადგენელი. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს გენერალი ზაიჩნევსკი. ყრილობამ დაადგინა: იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი მაინც არ მიიღებს მონაწილეობას--წინადადება მიეცეს მთავრობას, რომ ეხლავე გამოსცეს კანონი, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელი კრება გამოცხადდება დამფუძნებელ საბჭოთ ჩვეულებრივ პარლამენტის უფლებებით ახალ არჩევნებამდის. ახალი არჩევნები კი მოხდება ნახევარის ან და ერთი წლის შემდეგ.

**ბოლშევიკების მოძრაობა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 22 პეტროგრადის ოლქის პოლკების კომიტეტში ტროცკიმ განაცხადა, რომ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ თავის დღედ გამოცხადებული ოქტომბრის 22-ს უნდა ვერიდოთ ყოველივე ინციდენტს და დღე სიწყნარით გავატაროთ, ამის გამო მიღებულ რეზოლუციაში სხვათა შორის ნათქვამია: პეტროგრადის მეციხოვნენი ოქტომბრის 22 პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა სამშვიდობო დათვალიერების დღედ სთვლიან. რეზოლუცია მოუწოდებს ყაზახობას რევოლუციის მტერთა პროვოკაციას ყური არ ათხოვონ.

# რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

**ოქტომბრის 20-ის სხდომა სამი შეკითხვა**

სხდომას ხსნის 11 ს. და 37 წამზე აქსენტიევი, რომელიც აცხადებს, რომ მთავრობას სამი შეკითხვით მიმართეს: 1) იმის შესახებ, რომ მოკავშირეთ ეუწყა რუსეთში რესპუბლიკანურ წესწყობილების შემოღება, 2) სააგრარო-მამულთ კომიტეტების ზოგი წევრების დატუსაღებისა და სამართალში მიცემის შესახებ და 3) დონეცის რაიონში გაფიცვის გამო.

გრძელდება კამათი საგარეო მინისტრის გამო.

**დანის სიტყვა**

გურევიჩი (დანი) აღნიშნავს, რომ ეს ომი არც ერთ სახელმწიფოში არ იყო პოპულიარი და მით უმეტეს რუსეთში, რომლის შეძლებული კლასები მრეწველობის განუვითარებლობის გამო ომს ვერ გაამართლებდენ იმპერიალისტური მოტივებით. ჯარში დისციპლინა იმიტომ დაეცა, რომ არავისათვის საჭირო ომს ბოლოს არ უღებენ და მხოლოდ მენშევიკებმა გადაარჩინეს ჯარის მთლიანობა, საერობო და ქალაქთა კავშირის დაწესებულებებში რევოლუციის დროს ისეთი პირები აფარებდნენ თავს, რომელთაც არ უნდათ სამშობლოსათვის სისხლის დაღვრა (ტაში მარცხნივ). საფრანგეთის პრესისა და ინგლისის მინისტრის სიტყვით პარიზის კონფერენცია ზავის საკითხს არ განიხილავს. ტერეშჩენკო არც ერთს სიტყვას არ ამბობს რუსეთის ზავის პოლიტიკაზე. სკობელევის ნაკაზზე, ორატორი ამბობს, რომ მას არ უნდა მიეცეს სახარების მნიშვნელობა, იგი არ შეიცავს ზავის პირობებს სრულიად და პასუხს ყველა ეროვნულ კითხვებზე. რევოლუციურ დემოკრატიის აზრით ისტორიული უსამართლობანი ომმა კი არ უნდა გაასწოროს, არამედ სახალხო რევოლუციებმა. რუსეთის დემოკრატია დაჩაგრულ ერებს მოუწოდებს თავისი ძალით გაინთავისუფლოს თავი იმ იმედით, რომ სხვა ქვეყნის დემოკრატია მათ მხარს დაუჭერს (ტაში მარცხნივ). ორატორი დარწმუნებულია, რომ თავისუფალ რუსეთში ლიტვა და ლატვია თავისუფალი იქნება. ნაკაზის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მოსთხოვოს მოკავშირეებს აცნობონ მთელ ქვეყანას თავისი სურვილი ზავის ჩამოგდებისა.

**ლაპინსკის სიტყვა.**

პოლონელი სოციალისტი ლაპინსკი ამბობს, რომ კადეტები პოლონეთის საკითხში თვალთმაქცობდნენ: მთლიან პოლონეთის აღდგენაზე ლაპარაკობდნენ და ნამდვილად კი აფუჩეჩებდნენ რუსეთის ნამდვილ ინტერნაციონალისტურ მიზნებს, რომლებიც სტამბოლს და სრუტეებისაკენ იყო მიმართული. მთავრობა დღეს კადეტურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, რევოლუცია ისეთს ხიფათში ჩავარდა ასეთი პოლიტიკის გამოისობით, რომ რევოლუციონერმა რუსეთმა გულ ახდილად უნდა განუცხადოს მოკავშირეებს, რომ მას ომის გაგრძელება აღარ შეუძლია. მოკავშირეები უნდა დავიყოლიოთ, რომ დღესვე შეუდგნენ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას. გერმანელებს არ უნდა დავნებდეთ. მაგრამ მოკავშირეთა გავლენისაგან მაინც უნდა გავანთავისუფლოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა. ორატორს ეჭვი შეაქვს, რომ მთავრობამ ეს შესძლოს.

**ჯივილეგოვის სიტყვა.**

სომეხ-დელეგატთა სახელით ჯივილეგოვი ამბობს, რომ სომეხთა საკითხი პირველად აღძრა რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ 1877 წელს. სომხები მუდამ მსხვერპლად ეწირებოდნენ როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის საგარეო პოლიტიკას. დიდი ხანია სომხობა თვითგამორკვევისაკენ მიისწრაფვის და სომხობისადმი ზრუნვას ჩვენ საგარეო პოლიტიკაში ადგილი უნდა დაეთმოს. საერთაშორისო კონგრესმა სომხეთს ის უნდა მისცეს, რაც ვენის კონგრესმა შვეიცარიას: საუკუნო ნეიტრალიტეტი ყველა სახელმწიფოების თავდებობით. რადგანაც შესაძლებელია ომის გათავების შემდეგ მშინვე ვერ მოხდეს, ამიტომ სომხეთისთვის უნდა დამყარდეს დროებითი მდგომარეობა ყველა სახელმწიფოთა თავდებობით. სომხეთის ძველი კულტურა საშუალებას მისცემს მას შესაფერი ადგილი დაიჭიროს ხალხთაშორის, სომხის ერის მხრივ ინტრიგები სრულებით არ არის მოსალოდნელი, ვინაიდგან სომხობა რუსეთის წინააღმდეგ არას დროს არ წავა. სომხის ერს იმედი აქვს, რომ რუსეთის დემოკრატია განაცხადებს სომხეთის განთავისუფლების საჭიროებას, მაშინ სამუდამოდ განმტკიცდება კავშირი ოსმალეთისა და რუსეთის სომხეთის შორის ერთის მხრივ. და მეორეს მხრივ მასა და რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის.

**სტრუვეს სიტყვა**

საზოგადო მოღვაწეთა სახელით ლაპარაკობს სტრუვე, რომელიც ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკაზე კამათში მონაწილეთაგან ის მხოლოდ ჟუკოვსკიმ, აქსელროდმა და ჩაიკოვსკიმ, დააკმაყოფილა მხოლოდ მასში სადი ეროვნული გრძნობათ. „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის ფორმულის შესახებ, რომელიც აგრეთვე აქტიურ პოლიტიკას ჰგულისხმობს, ორატორი ამბობს, რომ ეს აქტიური მოქმედება ისეთი, რაც სახელმწიფოს თავდაცვაა. რუსეთის ზავისადმი მისწრაფებამ ჯერ ჯერობით არავითარი დადებითი ნაყოფი არ მოიტანა, რასაც ორატორი იმითი ჰხსნის, რომ თავიდანვე საზავო პროპაგანდა დაფუძნებული იყო სრულიად უტოპიურ აზრებზე. სტრუვე აღნიშნავს, რომ გერმანელი სოციალ-დემოკრატები თავდაპირველად გერმანელები პატრიოსანი ბურჟუები არიან (მარჯვნივ სიცილი) ამათ გერმანელობა ავალებთ, რომ ომის დროს აჯანყებისაგან თავი შეიკავონ, ხოლო ბურჟუობის გამო კი ვერ მიიღებენ მონაწილეობას აჯანყებაში. მშვიდობიანობის უკიდურესი მომხრე და უუწყნარესი რუსის კადეტი უფრო რევოლუციონერია, ვიდრე თვით უუკიდურესი, მედგარი გერმანელი სოციალ-დემოკრატი (სიცილი და ტაში მარჯვნივ). „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის ფორმულად რუსეთმა ჯარი სრულ დაშლამდე მიიყვანა, გერმანეთის იმპერიალიზმს მადა გაუღვიძა ბალტიის მხარეზე და ომი გაანხანგრძლივა. სტრუვეს მიაჩნია რომ გერმანეთი დიდი ხანია ემზადებოდა ომისთვის და ის სწორედ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. რომ რუსეთის ჯარს შეეძლო შებრძოლებოდა გერმანეთს,—ეს ცხადჰყო გალიციის ბრძოლამ, რომლის ერთი მესვეურთაგანიც აქ იმყოფება ეხლა. (მემარჯვენენი ვენ. ალექსეევს ესალმებიან ტაშის კვრით. მარცხნიდან კითხულობენ; „კორნილოვი?“ სტრუვე უპასუხებს; „კორნილოვი გერმანელთა ტყვეობიდან გამოიქცა სასიკვდილო ჭრილობების შემდეგ და მის სახელს აქ პატიოსნად ვსთვლით“ ხმაურობა და პროტესტები მარცხნიდან, ტაში მარჯვნიდან თავმჯდომარე კრძალი მოუწოდებს საბჭოს წევრებს წესიერება დაიცვან. ხმაურობა გრძელდება. ადგილიდან მარტოვი იძახის: „ბონა-პარტისტი სტრუვე“. თავმჯდომარე მარტოვს შენიშვნას აძლევს სტრუვეს შეურაცყოფისათვის. ხმები მარცხნივ: „რა შეურაცხყოფა“? თავმჯდომარე—საბჭოს წევრის ასეთ სახელწოდებას მე შეუწყნარებლად ვსთვლი. სტრუვე განაგრძობს: გერმანეთი რუსეთის დაშლასა და დანაწილებას ესწრაფვის, ამას ჩვენი მინისტრები ნაკლებად უწევენ ანგარიშს. რუსეთში იმარჯვებენ უკიდურესი მემარცხენენი, რომლებიც ხალხს აჯერებენ, რომ ზავის ჩამოგდებით ხალხი უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდება. ნამდვილად კი ესე საზარალოდ ომის გათავებას მოჰყვება ის, რომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება სწორედ მუშათა და საერთოდ ქალაქის ფარო დემოკრატიული წრეები.

**ჩერნოვის სიტყვა**

ჩერნოვის გამოსვლას ტაშით შეხვდნენ ორატორმა სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ მილიუკოვი და სტრუვე სრულებით არ იცნობენ ახალ რუსეთს და ისევ ძველი რუსეთის ფსიხოლოგიაზე არიან მიჯაჭვულნი. რუსეთის დიპლომატია დემოკრატიის აშინებს, თუ ძველი საიდუმლო ხელშეკრულობანი გამოვაქვეყნეთ, მაშინვე რუსეთი დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ანგარიშს აღარ გაუწევენ მასთ. ამით მართლულობენ თავს, ძველი საგარეო პოლიტიკის მიმდევრობის დროს. რევოლუციის დაწყებიდანვე რუსეთის დემოკრატია ზავის ჩამოგდებისათვის შეუდგა მეცადინეობას, მაგრამ ეს ზავი კი არ ნიშნავს წინანდელ საერთაშორისო დამოკიდებულების აღდგენას, არამედ იგი უნდა ჰსახავდეს საერთაშორისო დემოკრატიის პრინციპების გამარჯვებას საერთაშორისო იმპერიალისტურ პრინციპებზე. ჩერნოვის აზრით ასეთი ზავის ჩამოგდებაში დიპლომატიისათვის დიდი დახმარება უნდა გაეწია საზოგადოებრივობას. ამიტომ საკვირველია მინისტრის განცხადება, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია კერძო საქმეთ. რუსეთის საგარეო პოლიტიკამ უნდა გაიზიაროს სტოკჰოლმის ფორმულა ზავისა როგორც მისი ინტერესები უნდა მიიღოს მხედველობაში, აგრეთვე პრინციპებიც, რადგანაც მასში სამართლიანად არის გადაწყვეტილი რუსეთის პრინციპებიც. შემდეგ ორატორი ამბობს: რუსეთის უბედურება იმაშია, რომ ჯარის დემოკრატიზაცია ომის დროს ხდება. დისციპლინა მყარდება ზნეობრივ ერთობის საფუძველზე და არა ჯოხით (ტაში). უნდა მოხდეს აგრეთვე საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია. ომის მეოთხე წელს ზავის საკითხი თვით ცხოვრების პირობების რკინის ლოღიკამ წარმოშვა. ის, რაც იტალიეთში და საბერძნეთში ხდება, გვიჩვენებს რომ რუსეთის რევოლუციის პრინციპები იმარჯვებს და სწორედ ეხლაა საჭირო აქტიური დემოკრატიული პოლიტიკა. რუსეთმა უნდა მოითხოვოს, რომ პარიზის კონფერენციაზე განხილულ იქმნას ზავის საკითხი და მისი მუშაობა საჯარო იყოს. რუსეთის წარმომადგენლობა კონფერენციაზე ერთიანი უნდა იყოს. ზავის პრინციპების გამოცხადება ზავს დაგვიახლოვებს. საზავო წინასწარ კონგრესებით დემოკრატიამ უნდა მოაწყოს ზავის საკითხი. რუსეთის რევოლუციის იდეები იმედს გვაძლევს, რომ ევროპაში დემოკრატიის საქმე კარგად არის. ჩვენი იდეები თან და თან იმარჯვებს ინგლისში, საფრანგეთში და იტალიეთში (ტაში მარცხნივ და ცენტრში).

თავმჯდომარემ წაიკითხა მენშევიკების შეკითხვა დონეცის ოლქში მომხდარ გაფიცვების გამო.

სხდომა დაიხურა.

# ეროვნული კითხვა.

**თვითგამორკვევის საკითხი.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 19. ეროვნულ საქმეების კომისია ეროვნებათა თვითგამორკვევის საკითხის განხილვას შეუდგა.

**ლატიშების კორპუსი**

**მოქმედი ლაშქარი.** ოქტომ. 21. ცნობაა, რომ უმაღლეს მთავარ-სარდალმა ნება დართო ლატიშების კორპუსის შედგენაზე, კომისარი ვოიტინსკი ლატიშელ მსროლელთა აღმასრულებელ კომიტეტს დეპეშით მიესალმა. დეპეშაში ნათქვამია: დაე იგი რუსეთისა და ლიტვიას ჯავარიან კლდეთ გადაექცესო.

**პოლონეთის მომავალი მინისტრები**

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 20. პოლონურ გაზეთებს მოჰყავთ იმ მინისტრების გვარები, რომლებიც უნდა შევიდნენ პოლონეთის მინისტრთა კაბინეთში: სამხედრო რაზვადევსკი, ვაჭრობის—გრაბსკი, მრეწველობის—კიშლიანსკი ფინანსების—იანიცკი; საზოგადოებრივ საქმიანობის—კაშეროვსკი, გზათა მიმოსვლის—პოტოცკი, მხრუნველობის—სტეცკი, მიწათმოქმედების—ვენიავსკი, სარწმუნოების—ხარსკი, ... [illegible]—ვა... [illegible], სწავლაგანათლების—ზარეცკი.

**უკრაინა და რუსეთი**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 20. სამხედრო მინისტრმა ნება დართო უკრაინის პრ... [illegible] წარმომადგენლებზე წარმომადგენ...

**მოლაპარაკება პოლიტიკურ პარტიებთან**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 21. რუსეთ-ფინლიანდიის ურთიერთობის მოწესრიგების საქმე გართულდა. სოც.-დემოკრატები მოითხოვენ მთავრობის დაუმტკიცებლად ცხოვრებაში გატარებულ იქმნას ივნისის 18-ის აქტი. ახალგაზრდა ფინების, შვედელთა და ძველი ფინების პარტიებში თანახმა არიან მარტის 7 მანიფესტის განხორციელებით მოხდეს შეთანხმება. მაგრამ ამ პარტიებს სეიმში უმრავლესობა ჰყავთ. აგრარიებიც სოც.-დემოკრატებისკენ იხრებიან. გენერალ გუბერნატორი ინახულეს სეიმის ტალმანმა და მინისტრ-სტატს სეკრეტარებმა ენკელმა.

**პრესა სეიმის შესახებ**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 21. „ჰუფვუდსტადს ბლადეტი“ სეიმისაგან მოითხოვს მოაწესრიგოს რუსეთთან დამოკიდებულება და მთავრობის საკითხი სათანადოდ გადასწყვიტოს. გაზეთს საჭიროდ მიაჩნია მმართველობა გადაეცეს ან დროებით მმართველს ან განთავისუფლებულ დირექტორიას. თუ დროებითმა მთავრობამ ამას დასტური არ დასცა, მაშინ სენატი არ უნდა შესდგეს. ფინლიანდიაში ფეხი მოიკიდა აზრმა, რომ სენატორების დანიშვნა დროებით მთავრობას არ ეკითხება.

„უსიპიაიკა სწერს: „სეიმი რუსეთის მთავრობის განკარგულებითა და მისგანვე დანიშნულ დროს უნდა შესდგეს; ეს გარემოება ძველი რეჟიმის ტრადიციის ძალაში დარჩენის მაჩვენებელია, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს პრეცედენტად, რომელიც ხელებს შეუკრავდეს სეიმს. ფრიად საჭიროა, სეიმმა პირველ შემთხვევისათანავე გამოჰხატოს ფინლიანდიის სურვილი სრული პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ღვინ 22. ოფიციალი. ჩრდილო, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. დვინის რაიონში კუავას ჩრდილოეთით ჯარი ძმობილდება: ბუზეუსის მიმართულებით სოფელ კრენდეშენის მახლობლათ მტრის რაზმები შეეცადნენ ჩვენს თხრილებს პროკლამაციებით მოახლოვებოდნენ, მაგრამ თოფის სროლით გავფანტეთ.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის-რა.

**ბალტიის ზღვა.** უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება. სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.** კამენ-კაშირის მიმართულებით ოქტომბრის 20-ს ჩვენმა მფრინავებმა პოლიცკის სასახლეს 8 ფუთი ყუმბარა დაუშინეს და ცეცხლი გაუჩინეს. სოფელ სოლონეცის რაიონში მტრის ჰაეროპლანი დაეშვა. ზედ მყოფი უნტერ-ოფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ.

**დასავლეთის ფრონტი.**

**პარიზი.** ოქტ. 19. ოფიციალი. ბელგეთში მდ. ენის ფრონტზე საარტილერიო სროლაა. პუავრის ჩრდილოეთით მტერი ხელჩართულ იერიშებს შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ვერტინაკურის რაიონში, სენკანტონის სამხრეთ დასავლეთით, შამპანში, სუუნის უბანში და ვევრში ფლირეს ჩრდილოეთით ჩვენ მარჯვედ დავესხით მტერს თავზე და საგრძნობი ზარალი მივაყენეთ.

**საჰაერო იერიში ლონდონზე.**

**ლონდონი.** ოქტ. 19. მტრის მფრინავებმა წუხელის რამდენიმე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ლონდონზე. მტრის მფრინავთა პირველ ჯგუფმა გადასჭრა კენტის სანაპიროები და ლონდონისაკენ გამოემართა, მაგრამ მალე მან აღმოსავლეთისაკენ გაუხვია და დასახელებულ პუნქტებში რამდენიმე ყუმბარა ჩაჰყარა. ამ დროს მფრინავთა ორი რაზმი ტემზის მარჯვენა ნაპირით ამოჰყვა ლონდონისაკენ. უამინდობამ ზვერვა გაგვიძნელა. მათ შესძლეს ლონდონის სამხრეთ აღმოსავლეთის განაპირა უბნებისთვის ყუმბარა... ხნათ სროლა. მფრინავთა მეოთხე რაზმი, რომელიც ტემზით ლონდონში შეჭრას

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

# საგუბერნიო კონფერენცია

შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაიხსნება ქ. ქუთაისში.

**კონფერენციის საგანი:** 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

2. პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

**დელეგატების წარმოგზავნის წესი:** ქუთაისის გუბერნიის ქალაქები ჰგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო-თითოს. ქალაქები ბათომი, ქობულეთი, სოხუმი, ოჩემჩირე მონაწილეობენ წერილობით წარდგენილ წინადადების თანახმად.

კონფერენციის მომწყობი: **ქუთაისის კომიტეტი.**

ლამობდა შუა გზაზე მოვიგერიეთ. მეხუთე ჯგუფმა გადასჭრა ესექის სანაპიროები და ტემზის მარცხენა ნაპირით ლონდონისკენ გამოემგზავრა. რაზმის ნაწილი მოვიგერიეთ. რამდენიმე შესძლო ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეჭრა და ყუმბარების ჩამოყრა. მეექვსე ჯგუფი ამავ გზით შეიჭრა ლონდონში. ზოგმა ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირა ნაწილებს მიაღწიეს და ყუმბარები ჩაყარეს. ოფიციალ ცნობებით საჰაერო იერიშის დროს მოკვდარა 8 კაცი, დაჭრილა 21. ნივთიერი ზარალი უმნიშვნელოა.

**ინგლისისა და გერმანეთის ფლოტების შებრძოლება.**

**ლონდონი.** ოქტ. 21. სადმირალო იტყობინება: კატეგატში ჩვენი საზღვაო ძალები მტრის სადარაჯო გემებს შეებრძოლნენ. მტრის წყლებში მყოფ ჩვენი ფლოტისაგან რადიოტელეგრამის გამოგზავნა აღკრძალულია. ოფიციალად მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩვენი ის გემები, რომლებზედაც გერმანელი ტყვეებია, თავის ბაზებს უახლოვდებიან. საფიქრებელია, რომ ეს ბრძოლა მცირე უნდა იყოს.

**იტალიეთის ფრონტის გარღვევა.**

**რომი.** ოქტ. 20. ოქტ. 19-ის ოფიციალი. ჩვენმა ჯარმა ტალიამენტოსკენ დაიხია. მე 3-ე ლაშქარმა სამაგალითო ძალით და ერთსულოვნობით იხსენა თავი. პირველი და მეორე ცხენოსანთა დივიზიებს, განსაკუთრებით კი გენუას და ნიცის პოლკებს, ყველა ალტაცებაში მოჰყავს ღვინობისთვის 20-ის ოფიციალ ცნობით, ტალიამენტოზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მტრის პატრულები მდინარემდე მოვიდნენ, მაგრამ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე თვალსაჩინო რამ არა მომხდარა რა.

**მფრინავთა მოქმედება.** წარსულ ღამეს მტრის მფრინავებმა მშვიდობიან ქალაქებს აუტეხეს სროლა. დაშავდა რამდენიმე მოქალაქე.

**რომი.** ოქტ. 21 ტალმიანოსთან მტერი ჩვენს მარცხენა ფრთას უტევს. იგი შეეცადა მდინარის მარჯვენა მხარეზე გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ეს ცდა ჩაუკლა.

**ახალ კაბინეთის შედგენილობა.**

**რომი.** ოქტ. 19. შესდგა ახალი კაბინეთი. მინისტრ-თავმჯდომარედ და საშინაო საქმეთა მინისტრად ორლანდოა. გარეშე საქმეთა მინისტრად სონნინო, ახალშენთა მინისტრად—კოლოზიმო, იუსტიციის მინისტრად—საკი, ფინანსების მინისტრად—მედა, ხაზინის მინისტრად—ნიტი, სამხედრო გენერალად—ალფიერი, საზღვაო ადმირალად—გელბონო, შეიარაღების და სურსათის მიწოდების მინისტრად—გენერალი დალლოლიო, სამხედრო მრეწველობის და პენსიის—ბისსოლატი, განათლების—ბერინინი, საზოგადო სამუშაოთა—დარი, მიწათმოქმედების—მილიანი, ხოლო გზათა მინისტრად—ბიანკი.

**ვ ე ნ ი ზ ე ლ ო ს ი.**

**რომი.** ოქტ. 20. ჩამოვიდა ვენიზელოსი და სონნინოსთან ითათბირა.

**პენლევე და ლოიდ-ჯორჯი.**

**რომი.** ოქტ. 21. პენლევე და ლოიდ-ჯორჯი ღვინობისთვის 22-ს იტალიის გაემგზავრებიან.

**ამერიკას სესხი იტალიეთს.**

**ნიუ-იორკი.** ოქტ. 19. შეერთებულ შტატების მთავრობას მზად აქვს იტალიეთისათვის ახალი სესხი 230 მილიონი დოლლარი. იტალიეთის კრედიტების საერთო ჯამი 485 მილიონს აღწევს. ყველა მოკავშირეთა სესხი კი 3 მილიარდ დოლარს აღემატება.

**შვეციის მეფე დანიაში.**

**სტოკჰოლმი** ოქტ 19. მეფე დანიაში წავიდა.

## ზავის გარშემო

**„უკრაინელები და ზავი“**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 21. „ნოვაია ჟიზნ“ უკრაინელთა სეპარატიზმს შეეხება წერილში „უკრაინელები და ზავი“ გაზეთი სწერს: „უკრაინის სამხედრო ყრილობამ დაადგინა, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ მოსთხოვოს საზავო მოლაპარაკების დაწყება. ყრილობამ ესეც არ იკმარა და დაადგინა, რომ ცენტრალმა რადამ, მთავრობის პასუხს არ მოუცადოს და ომის დამთავრება თვით იკისროს. ეს დავალება შეიძლება სეპარატიულ ზავის ცდათ ჩაითვალოს. სეპარატიული ზავი კი ავსტრია-გერმანეთის ნაკარნახევია. თუ რადა ფრონტის უკრაინელების მოთხოვნილებას აასრულებს, ამით გაუვალ უფსკრულს გაჰთხრის რუსეთსა და უკრაინის შორის. უკრაინის ყრილობის მიერ ნაჩვენები გზა ომის სალიკვიდაციოდ, არამც თუ არ დაასრულებს ომს, არამედ საკითხად გაჰხდის უკრაინის, როგორც ავტონომიურ ოლქის, არსებობას.

**ვერხოვსკის წინადადება**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 21. თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე ზნამენსკიმ გამოაქვეყნა შემდეგი: „გაზეთ „ობშჩეე დელო“-ს ოქტომბრის 21-ის ნომერში კურცევის ხელმოწერით დაბეჭდილ შენიშვნაში სწერია, რომ თავდაცვის კომისიის სხდომაზე სამხედრო მინისტრმა გენერალ ვერხოვსკიმ წინადადება შემოიტანა, რომლითაც გერმანელებთან მოკავშირეთა ჩუმად ზავის შეკვრას მოითხოვდა. საჭიროდ ვსცნობ განვაცხადო, რომ არც თავდაცვის კომისიაში, არც გარეშე საქმეთა და თავდაცვის შეერთებულ სხდომაზე გენერალ ვერხოვსკის ასეთი წინადადება არ წამოუყენებია.

## უკანასკნელი დეპეშები.

გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა „დამფუძნებელი კრება“ რომელიც ცენტრალურ შეერთებულ ს.-დემ. ჯგუფისა ორგანო არის.

—

ოფიცრებმა და სალდათებმა განაცხადეს, რომ ანარქისტების და კონტრ-რევოლუციონერების გამოსვლებს, პეტრეს ქალაქში არ დაუშვებენ. მათ პეტრეს ქალაქის გარნიზონს მიმართეს. მტკიცეთ დაიცვან რევოლუცია და სამშობლო.

—

კარაბულასა და პრიევოს შუა სანიტარულ მატარებელს ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს. მატარებელი სამგზავრო ეგონათ. მემანქანემ სიჩქარეს მოუმატა. ყაჩაღებმა სროლაში ორი ჯარისკაცი მოკლეს და ექვსი დაჭრეს.

—

საფოსტო მატარებელი № 3 კონაკოვის სადგურზე დაეჯახა სამგზავრო მატარებელს. დაიმტვრა სამარგო ვაგონები (ტეპლუშკები) 25 ჯარის კაცი მკვდარია და 70 მძიმეთ დაჭრილი.

—

დამფუძნებელი კრების საარჩევნოდ შემდგარმა მოსკოვის სატახტო კომისიამ ამოშალა ყაზახთა ჯარის საბჭოს მიერ წარდგენილი სია, რომელსაც ჰელსაწერდნენ როძიანკო, გრაფინია ბობრინსკაია და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი შჩეპკინი. სიის ამოშლის საბაბად კომისიამ ის გაიხადა, რომ ხელის მომწერთა თავიანთი წლოვანობა არ აღენიშნათ.

—

კიევში მცირე რადის მიერ გამოტანილ რეზოლუციის თანახმად სეკრეტარიატს ცალკე დამფუძნებელ კრებაზე უარი განუცხადებია.

—

მოსკოვის გაზეთები ანარქიის ცნობებით ჰრელდება. რკინის გზებზე დაშლილ ჯარის უწესოებამ საზღვრები გადალახა. ქალაქებში, მაზრებში, მთელ ოლქებში პოგრომებია; იწვის მამულები. მთავრობა უძლურია. კიევის და ვოლინის გუბერნიებში, მაზრებში და ქალაქებში ებრაელებს არბევენ.

—

კალუგიდან იტყობინებიან: ჩამოსული ყაზახები საბჭოს იარაღს ჰყრიან. ხელთ იგდეს ტელეგრაფი და ფრონტზე სამარშო როტების გაყვანა მოითხოვეს. ამ ამბებს კალუგის დეპუტატთა საბჭო თავნებობით ხსნის ყაზახებთან ერთად ჩამოსულმა გალინმა განაცხადა, რომ 12 გუბერნიის საბჭოებსაც ასეთი ბედი ელითო. კალუგიდან მიღებულ დამატებით ცნობებით მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭო გაფანტულია. დამსჯელი რაზმი დრაგუნებით, ტყვიისმფრქვეველებით და ჯავშნიან ავტომობილებით ტულისკენ, ნოვოზიბკოვსა და ბრიანსკისკენ მიდის.

—

ვინიჩენკომ პეტროგრადში წასვლაზე უარი განაცხადა.

—

ინგლისში წირვა-ლოცვების დროს რუსეთის შესახებ კითხულობენ ლოცვას.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კონფერენცია.** შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ქ. ქუთაისში ვაიხსნება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საგუბერნიო კონფერენცია. კონფერენციის საგანი:

1) დამფუძნებელი კრების არჩევნები, 2) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა, 3) საორგანიზაციო საკითხები. კონფერენციაზე ქუთაისის გუბერნიის ქალაქები გზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო თითო წარმომადგენელს.

✦ **პარტიული კრება.** ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში გაიმართება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იმ წევრთა კრება, რომელნიც ცენტრალურსა და სამთო უბნებში სცხოვრობენ, ფრიად საჭირო კითხვების გასარჩევათ.

ქუთაისის კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრთ კრებას უსათუოთ დაესწრონ.

✦ **წყალ გაღმა უბნის კომიტეტი.** წყალ გაღმა უბანში დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საუბნო კომიტეტი. კომიტეტი მოთავსებულია ორპირის ქუჩაზე, ლოლობერიძის სახლში, რუსეთის მეორე დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში. პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10-დან 1 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

✦ **კაკი წერეთლის ჩამოსვლა.** გუშინ 24 ოქტომბერს ს. დიდი ჯიხაიშიდან ქუთაისში ჩამოვიდა კაკი წერეთელი.

✦ **გუბერნიის კომისარის ჩამოსვლა** გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე, რომელიც თბილისს იყო წასული საქმეების გამო, გუშინ დილის მატარებლით ქუთაისში დაბრუნდა.

✦ **საკოლო რაიონების ინსპექტორების არჩევა.** 25 ოქტომბერს შესდგა კრება ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტისა ამ კრებაზე დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის თანდასწრებით და შეთანხმებით უნდა აერჩიათ სარაიონო ინსპექტორები, მაგრამ კავშირის გამგეობა ამ კრებაზე არ გამოცხადდა. აღმასრულებელ კომიტეტმა მაინც აირჩია 3 ინსპექტორი. გ. მეფარიშვილი (ს. რ.) წითლიძე (ს. დემ.) და მ. გავაშელი —(ს. ფედ.) დანარჩენი 4 ინსპექტორის არჩევა შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

✦ **ლექცია.** დღეს ქალაქის თეატრში კაკი წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „თანამედროვე მომენტი“.

✦ **3,000 მანეთის მოთხოვნა.** ოზურგეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს საჩქაროთ გაეგზავნოს მას 3,000 მანეთი, რომელიც დაუხარჯავთ მაზრის ადმინისტრატიულ მოწყობისათვის.

✦ **ციხის მღვდლის თანამდებობის გაუქმება** ქუთაისის ციხის მღვდელმა დევიძემ ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მისთვის ჯამაგირი მოემატებიათ. კომიტეტმა გაარჩია ეს კითხვა თავის უკანასკნელ სხდომაზე. მღვდელი ძველათ ტუსაღებს უკითხავდა სასულიერო წიგნებს, ესწრებოდა ჩამოხრჩობისა და დასაფლავების დროს. ეს იყო მოვალეობა ციხის მღვდლისა; რადგანაც ეხლა მას სასულიერო წიგნების კითხვა სასურველათ არ მიაჩნია ჩამოხრჩობა ტუსაღებისა კი მოისპო.-კომიტეტმა დაადგინა მოისპოს ეს თანამდებობა და მღ. დევიძე და მედავითნე სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ, ხოლო მათ მიეცესთ ერთ დროულ დახმარებათ 500 მანეთი.

✦ **პენსია კიტა აბაშიძის ოჯახს** შავი ქვის მრეწველთა ყრილობამ დაადგინა იმ შემთხვევაში თუ კიტა აბაშიძეს რაიმე დაემართა, დაენიშნოს მის ოჯახს წლიურათ 12,000 მანეთი, აქედან ცოლს 4,000 მანათი და 4 შვილს ორ-ორი ათასი მანეთი.

✦ **ბაღდადის რკინის გზა.** საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საბოლოოთ გამოსარკვევათ, თუ რა გზით უნდა გაიყვანონ ბაღდადის რკინის გზა, გადაეცეს ამის განხილვა განსაკუთრებულ კომისიას დაინტერესებულ საზოგადოებების წარმომადგენლების თანადასწრებით.

✦ **მოხელეთა კოოპერატივი.** ამ დღეებში ქუთაისში მოხდება სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა საერთო კრება კოოპერატიული საავტროს მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

✦ **დამფუძნებელი კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობმა ამიერ-კავკასიის კომისიამ აცნობა ქუთაისის საგუბერნიო კომისიას, რომ იმ პირთ ვისაც საარჩევნო ბარათები დაეკარგება უნდა მიეცესთ პირი ბარათისა, იმ ნუმრის და თარიღის აღნიშვნით, რომელიც პირველად მიცემულ ბარათს ჰქონდა.

✦ **ბოროტ მოქმედება.** სისხლის სამართლის მილიციამ ყალბი მოწმობების შედგენისათვის შეიპყრო ისაკ კაკიტელაშვილი და ვინმე მიასოევი. კაკიტელაშვილს მიასოევიდან მიუღია 4,000 მანეთი, რომ გაეკეთებია ყალბი მოწმობა, რომ ამით შესძლებოდათ მოსკოვს გაეზიდათ 2,000 ნაჭერი ხონის შალისა. ამ მოწმობებს კაკიტელაშვილი თურმე საზოგადო საკრებულოში სწერდა. გაჩხრეკის დროს კაკიტელაშვილს აღმოაჩნდა სხვა და სხვა ცარიელი ბარათები და აგრეთვე თბილისის სასურსათო კომიტეტისაც. გუშინ კაკიტელაშვილიც და მიასოევიც ციხეში მოათავსეს.

✦ **ქუთაისის ქალაქის** აფთიაქებში მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობას ჯამაგირების მომატების შესახებ მოთხოვნილება წარუდგინა.

✦ **კონტრ-რევოლუციონერების გასამართლება.** ოზურგეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქუთ. გუბ. აღმასრულებელ კომიტეტს. რომ კონტრ-რევოლუციონერების საქმე ქ. ოზურგეთში გაირჩეს არა უგვიანეს 30 ოქტომბრისათვის.

✦ **ფეხსაცმლების ტყავეულობა.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა პეტრეს ქალაქის ტყავეულობის გამნაწილებელ დირექტორს ბეთ გაუგზავნა 1890 მანეთი.

✦ **ხორცეულების კრიზისი,** ბათომის ქალაქის სასურსათო კომიტეტი ქუთ. გუბერ. სასურსათო კომიტეტსატყობინებს, რომ ბათომში მცხოვრებნი უხორცობით დიდ გაჭირვებას განიცდიან და თხოულობს ნება მიეცა მას საჲ. აბაშიდან გაზიდოს ორი ვაგონი ცოცხალი ღორები.

✦ **სათავად-აზნაურო ბანკში.** ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის მდივნათ არჩეულ იქმნა პლატონ გელოვანი.

✦ **გადასახადების შესახებ.** ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ მოქალაქეთა საყურადღებოთ მოწოდება გამოსცა, რომ სხვადასხვა გადასახადები ქალაქის კასაში დროზე შეიტანონ.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება მოხდება 27 ოქტომბერს.

✦ **საუბნო და სასოფლო კომიტეტები.** ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსთხოვა სამაზრო კომიტეტებს აცნობოს 1) რამდენი სარაიონო კომიტეტია მაზრებში და რა სახელწოდება აქვს, 2) რამდენი სასოფლო კომიტეტია თითეულ რაიონში, და მათი სახელწოდება.

✦ **ახალი ბეგარა.** ზუგდიდის მაზრას კომისარი კვარაცხელია ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ ზუგდიდის ქალაქის სასურსათო კომიტეტი თხილის გაზიდვის დროს ყოველ ფუთზე თავის სასარგებლოთ იღებს 1 მანეთსა 3 კაპიკს; წინააღმდეგ შემთხვევაში ურმებს აკავებენ გზებზე; ამისთვის გთხოვთ დეპეშით აცნობოთ ზუგდიდის სასურსათო კომიტეტს, რომ ასეთი გადასახადი მოსპობილ იქნას და რაც დღემდის გადაუხდევნებიათ უკანვე დაუბრუნონ.

**პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.**

**ქ. სამტრედია.** შაბათს 21, ოქტომბერს ქ. სამტრედიაში იე ეკალაძემ და ა. თოდაძემ წაიკითხეს ლექციები. ლექციებს საზოგადოება ბლომათ დაესწრო. მოკამათეები არ გამოსულან.

— **ს. ჩხარი** ჩხარის რაიონში წელს პურნახულის მოსავალი ცუდი იყო. სტატისტიკური გამოანგარიშებით 1917 წელთან შედარებით წელს სიმინდი და პური 144,791 ფუთით ნაკლებია.

— **ქ. ჭიათურა.** პარასკევს, 27 ოქტომბერს გაიმართება ილიას საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ **ცახელი, ალ. თორაძე, ილ. ელენტი,** ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი **სანდრო კავსაძე** და სხვანი.

— **დ. საჩხერე.** აქ სურსათის ნაკლებობაა. მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. —მაზრის კომისარმა ბრძანება გასცა, რომ საერობო გადასახადი აკრეფილ იქმნეს.

— **ს. მარტვილი.** სხვა და სხვა გადასახადების აკრეფას უკვე შეუდგენ.

— **ჭიათურა.** აქ თითქმის ყოველ დღე აგროვებენ ყულაბებით ფულს სხვა და სხვა ორგანიზაციების სასარგებლოთ. ხალხი ამის გამო უკმაყოფილოა. ქალაქის კომისარმა გუბერნიის კომისარს სთხოვა, რომ ყულაბებით ფულის შეგროვების ნებას. ჭიათურაში შემდეგში ნურავის ნუ მისცემს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**საზოგადო მოღვაწეთა თათბირი.**

საზოგადო მოღვაწეთა თათბირმა მოსკოვში სამხედრო საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ჯარში პოლიტიკურ პროპაგანდის გაუქმება და ჯა-

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

**ქუთაისის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება პარტიის იმ წევრთა კრება, რომელნიც ცენტრალურსა და სამთო უბანში სცხოვრობენ, ფრიად საჭირო კითხვების გასარჩევად.

წევრებს ვთხოვთ, კრებას უსათუოდ დაესწრონ.

რის პარტიათა გავლენის გარეშე დაყე-ნება. მიიღეს რა პრინციპიალად კომი-ტეტების არსებობა მიზან-შეუწონელათ ნორმალურ სამხედრო კანონიერებასთან, რასაც ამტკიცებს გამოცდილება ყველა ქვეყნების არმიები, დროებით შეიძლება შევურიგდეთ მათ არსებობას, იმ პირო-ბით კი, რომ მათ გამგებლობაში იქნენ მარტო სამეურნეო და სასურსათო საქ-მეები, და ყველა მათი დადგენილებანი უნდა დაამტკიცოს უფროსმა.

თუ კომიტეტები განზრახ დაარღვევენ თავის უფლებებს, მოვალეობას, მახლო-ბელი უფროსნი, უფლებით არა ნაკლებ ცალკე კომანდის სარდალისა, ნება ეძ-ლევა დაითხოვოს ასეთი კომიტეტი და დანიშნოს ახალი არჩევნები.

დაუყონებლივ უნდა აღდგენილი იქ-ნეს სამხედრო სალამის მიცემა, როგორც ტოლთა შორის, აგრეთვე უნცროსთა და უფროსთა მიმართ.

აღდგენილ იქნას დისციპლინარული უფლება ყველა ხარისხის უფროსებისა განსაზღვრულ ფარგლებში სასტიკ პასუ-ხის-მგებლობით.

საჭიროა ჩამოეცალოს ოფიცერთა კორ-პუსს ჩირქის მომცხები ელემენტები, რო-მელნიც ამ ხანათ მონაწილეობას იღე-ბენ სალდათების ბრბოების თითქმის ყო-ველ მოძრაობაში, რომელნიც მიმართუ-ლია სამსახურის დარღვევისკენ. ეს მო-ხერხდება მხოლოთ სინიდისის სანართალის აღდგენით.

დაკანონება არმიის და ფლოტის ოფი-ცერთა კავშირის მთელი თავის თაბაუ-თით, როგორც უსაჭიროეს დაწესებულე-ბის საომარ უნარის აღდგენისა ჯარში და ამ კავშირს მიენიჭოს მნიშვნელობა სახელმწიფო დაწესებულებისა.

განხორციელება დრ. მმართველობის მიერ ისეთ პირობებისა, რომელნიც ხელს შეუწყობენ ყველა გენერლების და ოფი-ცრების დაბრუნებას ჯარში, რომლებიც განდევნილნი იყვნენ უპასუხისმგებლო და თვითნებურ ორგანიზაციებისგან!

## სახალხო სკოლის ბრაშემო.

თანახმად დასავლეთ საქართველოს სახა-ლხო მასწავლებელთა დელეგატების ყრი-ლობის დადგენილებისა ქალაქის თვით-მართველობასთან უნდა დაარსდეს ქალა-ქის სასკოლო საბჭო, რომლის შემადგე-ნელობაში შედიან: თვითმართველობის სა-მი წარმომადგენელი, რაიონის სკოლების მეთვალყურე, ქალაქის ექიმი და ქალაქის სკოლის მასწავლებელთა კორპორაციიდან ექვსი დელეგატი. კორპორაციამ უკვე აირჩია თავისი წრიდან დელეგატები, რის გამო ადგილობრივი კავშირის გამგეობა სთხოვს ქუთაისის ქალაქის თვითმართვე-ლობას თავისი მხრით დანიშნოს სამი წა-რმომადგენელი ხსენებული საბჭოს შესა-დგენათ.

—

მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის გა-ნყოფილების გამგეობამ 17 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: რადგანაც ქალაქში არსებული ყველა ტიპისა და უწყების დაბალი სკოლები ადგილობრივი კავშირის განყოფილებაში შედის, ამიტომ მეტად საჭიროდ მიაჩნია ნაციონალიზა-ციის კომიტეტში კავშირის გამგეობას, როგორც ადგილობრივს, ერთი წარმომა-დგენელი, ყავდეს რისთვისაც ნიშნავს გამგე ობის წევრს თომა ვასილისძე ფირაძეს და თხოვს ჯეროვან განკარგულებას.

—

ქუთაისის ქალაქის მესამე სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ მეოთხე განყოფი-ლების მასწავლებლად მელ. ჩეჩელაშვი-ლის ნაცვლად მოიწვია ერთი წლით ს. ბანოჯის სკოლის მასწავლებელი ქალი ეპარქიალურ სასწავლებელში კურს დამ-თავრებული, ნინო ბუაჩიძის ასული, რო-მელმაც ამ ორი წლის წინად მასწავლე-ბელთა კორესპოდენციისა და ქალაქის სასკოლო კომისის თანადასწრებით მონა-წილეობა მიიღო სამეტოქეო გაკვეთი-ლების მიცემაში. მასწავლებელს ჯამაგირი მიეცემა სკოლის სპეციალური საშუალე-ბიდან.

—

კავშირის განყოფილებამ შუამდგომლ-ობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა ქალაქის დაბალ დაწყებით სკოლებში ამა სამოსწავლო წლიდან შე-მოღებულ იქნას უფასო სწავლა.

**ლ. ბ—ელი.**

## საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პა-რტიის თბილისის ცენტრალური კო-მიტეტი.

ხუთშაბათს, საღამოს, 19 ოქტომბერს, სამეურნეო ბანკის დარბაზში სპ. კედიას თავმჯდომარეობით მოხდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბი-ლისის სარაიონო კომიტეტების წარმომა-დგენელთა კრება, რასაც დაესწრო 50 დე კაცი. კრების მიზანი იყო თბილისის ცენტრალურ კომიტეტის დაარსება, რისი საჭიროება და მნიშვნელობა აუხსნა და-მსწრეთ თავმჯდომარემ, ხოლო ამ კომი-ტეტის არჩევის ტეხნიკურ მხარეს ვრცლად შეეხო პ. გოთუა. მცირე კამათის შემდეგ, ცენტრალ კომიტეტში აირჩიეს 19 კაცი, აქედან 7 სარაიონო კომიტეტთა თავ-მჯდომარენი, 5 კომიტეტთა წევრები, ერთი სტუდენტთა კორპორაციის თავ-მჯდომარე, ერთი მოწაფეთა კორპორა-ციის თავმჯდომარე, ერთი მთავარ კომი-ტეტის წევრი გ. გორდეზიანი და ოთხიც პარტიის წევრი. გუშინ, შაბათ საღამოს, იმავე ბანკის დარბაზში მოხდა ახლად დაარსებულ თბ. ცენტრალ კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ 14 წე-ვრი. პირველ ყოვლისა, არჩეულ იქნა პრეზიდიუმი ოთხი კაცისაგან პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ აირჩიეს მთავარ კომი-ტეტის წევრი გ. გორდეზიანი, თავმჯდო-მარის ამხანაგათ ს. ქვარიანი, ხაზინადრათ პ. გოთუა და მდივნათ ვლ. სიმონიშვი-ლი. აქვე აირჩე საფინანსო და საადმინი-სტრაციო სექციები. საფინანსო სექციაში შევიდენ: პ. გოთუა, ი. გველესიანი, დ. ვურამიშვილი, ალ. ჯორჯაძე, ვ. რ. ყი-ფიანი, ვ. ბერელაშვილი, ნ. წვერავა და ბ. ფორაქიშვილი; საადმინისტრაციო სე-ქციაში შევიდენ: გ. გორდეზიანი, ს. ქვა-რიანი, დ. დუმბაძე, ვ. ყიფიანი, ი. ბე-რძენიშვილი, კ. ბერიძე, ნათიძე, ვლ. სიმონიშვილი, ს. ახვლედიანი, ხერხეული-ძე და ნ. კეცხოველი.

კრება გადაცნო დამფუძნებელ კრები-სათვის არჩევნების წესდებას და განიხილა სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. ვუსუ-რვებთ ახლათ დაარსებულს საქ. ერო-ვნულ-დემოკრატიულ პარტიის თფ. ცენ-ტრალურ კომიტეტს ნაყოფიერ მუშაობას ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

**დამსწრე**

## რუსული უნივერსიტეტი თბი-ლისში.

ქალაქის გამგეობას განათლების მი-ნისტრის სალაზკინისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ახლო მომავალში დროე-ბითი მთავრობას წარუდგენ პროექტს უნივერსიტეტის დასაარსებლათ თბი-ლისში. პირველად მოეწყობა ისტო-რიული და აღმოსავლეთ ენების ფა-კულტეტი, შემდეგ ფიზიკო-მათემატიკური და მედიკური ფაკულტეტები. გთხოვთ გამოარკვიოთ რა თანხის შემოტანა შე-ეძლება ქალაქს, ან და ხომ დაუთმობს ქალაქი უნივერსიტეტს უსასყიდლოდ სა-ჭირო მიწას, თუ საჭირო შენობებს. ქა-ლაქის გამგეობა ამ საკითხზე მოხსენებას წარუდგენს საბჭოს მომავალ ორშაბათს.

## ჩვენი სოფელი.

ჩვენი მიზანია მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ სოფლის აწინდელი სულიერი განწყობილება და მდგომარეობა.

ომის შემდეგ იმერეთის სოფელი დი-დათ გამოიცვალა.

დასავლეთი საქართველო ადვილათ ით-ვისებს ყოველგვარ მოდურ მოვლენებს, რომელსაც ეროვნულ ცხოვრებაში, ერო-ვნულ სახეობაში სიმახინჯე შეაქვს.

დავიწყებთ იქიდან, თუ როგორი აზ-რის არიან სოფლელები მიმდინარე ომზე, რას ფიქრობენ მომენტის შესახებ და რა აქვთ სადარდელათ.

მოვიყვანოთ თვითონ სოფლელების ნა-თქვამს.

— ომი გრძელდება, მაგრამ უნდა ვი-ცოდეთ, რა სარგებლობა ან უბედურება მოყვება მაგას? ამბობს ერთი.

— სარგებლობა რა უნდა იყოს, აგვა-წიოკა დაგვამშია და აგვატირა, — უპასუ-ხებს შავებში გამოწყობილი გლეხი.

სარგებლობა ის არის, რომ ომით ბევ-რი გამდიდრდა, აგერ ჩემი მეზობელი სიმ-შილით კვდებოდა, ახლა კი ასი ათასებს ატრიალებს. ასე კიდევ რამდენია! — განა-გრძობს მეორე.

— მერე რა ფასი აქვს ახლანდელ სიმ-დიდრეს? ამბობენ, ქაღალდის ფული სულ მოისპობა, ვისაც ბევრი აქვს, ვაი იმის ბრალიო, — ნაღვლიანათ აღნიშნა ხანში შესულმა გლეხმა.

— როგორ ქაღალდის ფულს ძალა და-ეკარგება? შეწუხებული კითხულობენ? გვთხოვენ რჩევას.

არ ვიცით, რა უთხრათ. უთითებთ უძ-რავ ქონების შეძენაზე, საზოგადო დაწე-სებულებათა დაარსება-მოწყობაზე.

ხალხი ლაპარაკობს დროებითი მმარ-თველობის შესახებ.

— სანამდი იქნება ასე? ვერაფერი გა-ვიგეთ ამ ახალ თავისუფლების. მიწა გვინ-დოდა გვეყიდა, ყიდვა არ შეიძლებაო, მიწა „საობშჩოთ" უნდა გადაიქცეს. სად გაგონილა, ვის მოსწრებია. რომ კაცს თავის ოფლით შეძენილი საკუთარი ქო-ნება „საობშჩოთ" გაეხადოს? — გვეუბ-ნება ერთი გლეხი.

რა ენაღვლებათ! ვინც აქმოვა, ყველა ხსნას გვპირდება. მაგრამ ჩვენ გაძაღლე-ბულ ცხოვრებას უფრო გვირევს. ვიღაცა მოვიდა და გვითხრა, მიწის საკუთრება უნდა მოისპოსო. დიდება შენთვის ღმერ-თო! ახალი გამაბედნიერებელი ცხოვრება იმის წართმევას გვპირებს, რაც ჩვენ გვქონდა „კაი ყოფილა" — მაგისთანას რამ-დენს იტყვის მოცლილი ხალხი, იმდენი სიკეთე ჩვენ, მარა მისი განხორციელება ალიას კითხე" — სიცილით ამბობს ჭიათუ-რის მუშა, რომელსაც მიწა სრულებით არ გააჩინა.

— ეს ჩვენი ახლანდელი მთავრობა კაც-მა არ იცის, როგორ იქცევა. ამასწინათ ვიღაცამ სთქვა გადასახადები გეპატიათო. ჩვენ ამის დაჯერება არ გვინდა, მერე აქაურმა კომიტეტმა გადასახადები შეაგ-როვა, ახლა ბრძანება მოსულა, რომ გა-დასახადები დაუყონებლივ შეკრიბეთო. რას გავს ეს? ძველებურათ ორმოცჯერ გვახდევინებენ? ყოველი კაცი, ვინც ჩა-მოვა, მე მთავრობა ვარო იძახის, გუშინ ბატს არ ვანდობდი მოსაწყესათ, დღეს კი იგი გამგებელი შეიქნა. როდის შეს-დგება ი დამფუძნებელი კრება! იქნება რამე დაწესოს, საზღვარი დაუდვას ყვე-ლას, თორემ ცხოვრება საშიში შეიქნა. ყველა გვეუბნება, ასე მოიქეცი, თორემ დაგიჭერო.

— მართალს ბრძანებს ვასილი გამოეხ-მაურა იქვე მდგომი სოფლის მცხოვრები. ყველაზე სატირალი ის არის, რომ ჩვენს სოფელს მოედო ავი სენი (ვენერიული ავადმყოფობა). ქალი და კაცი ყველა იტან-ჯება. რა ვქნათ, წამალი აღარ იშოვება ექიმი აღარ არის. რა გვეშველება? აი, ამაში დაგვეხმარონ, რომ ჩამოდიან აქ და გვიძახიან ყველანი ერთი უნდა ვიყოთ, ჩვენი პარტია ყველას სჯობიაო.

— მაგის გარდა, ბ-ნო, კიდევ გვჭირს ერთი უბედურება, სასწავლებელში გვყავს ბალნები (ბავშვები) და მეუბნებიან მას-წავლებელმა გვითხრა, ღმერთი არ არის, სამღვთო სჯულს ნუ ისწავლითო. ასე იქ-ცევა ნასწავლი კაცი და კი არ იცის, თუ რა მოყვება ამას. ღმერთის შიში მორი-დება რომ არ ჰქონდეს აქაურ ხალხს, მა-შინ ერთმანეთს დასჭამდა. ღმერთი ჩვენი სინდისია, და ახლა ამ სინდისს გვირყვნი-ან. ბავშვები გადაეჩვიენ ღმერთის პატივ-ცემას და აქედან არც სხვისი პატივისცე-მა ექნებათო — სთქვა ერთმა მშობელმა.

მემ მინდოდა მეთქვა, რომ ზოგიერთი „მეტიჩარები" კიდევ ძველებურათ იქცე-ვიან. ახლა ნება მოგვეცა ჩვენ დედაენაზე გვქონდეს ყოველგვარი საქმის წარმოება, მარა, როგორც ვსთქვით, ზოგი მეტიჩა-რა მაინც განაგრძობს ძველ გზით სია-რულს და რუსულათ გვიწერს ქაღალდებს, სთქვა ერთმა სემინარიაში ნასწავლმა, რომელიც ახლა სოფელში მეურნეობას შესდგომია.

სწორეთ რომ დიდათ საჭიროა მოწე-რილობები ჩვენ გასაგებ ენაზე გვქონდეს და თავისუფლება თუა, იგი ყველგან და-გვეტყოს, ამბობენ ერთხმათ.

ღამდება, ხალხი სახლისაკენ მიეშურება. თითქმის სოფლის მესამედს რუსული „მაზარა" აცვია. ესენი არიან დათხოვე-ნილ ჯარისკაცები, ბევრია კოჭლი, ხელ მოგლეჯილი, თვალ გაფუჭებული და ჭკუა შერყეულიც.

ხალხში იმის მე დავიჯერე, „პერვი ბოი" რომ იყო მაშინ. ნიკო სუვალკა-სთან ბრძოლაში დეიღუპა. საწყალი ივა-ნე პერემიშლასთან „რანენი" იყო და მოკვდა.

დარწმუნებული ვართ, მკითხველი კო-მენტარიებს აღარ მოგვთხოვს. სოფლე-ლების ნაამბობიდან ყველაფერის გა-გება შეიძლება. ძნელი არ არის იმ დასკვ-ნის გამოტანა, თურა სჭირია დღეს სოფ-ელს, რას ითხოვს იგი პარტიულ და ხე-ლმძღვანელ ჯგუფებისგან. სოფელი სრუ-ლიადაც არ არის რომელიმე პარტიის მომხრე, კუთვნილება. სოფლის ხალხს აქვს თავისი შეხედულება, მისწრაფება, მიზანი. იგი ჰვერდში ამოუდგება ისეთ მიმართულებას, რომელიც მასთან ახლოს სდგას და მის დღევანდელ საჭიროებათ უხსნის, ბუნებრივ განვითარების და წინ-სვლის გზაზე აყენებს.

მაგრამ ამაზე შემდეგ,

**ი დიდიძე.**

## ჩვენი „შუქურ-ვარსკვლავები."

რევოლუციის დაწყებითსანავე გაისმა ჩვე-ნი „შუქურ-ვარსკვლავების" მგრგვინავი ხმა, მაგრამ იგი დარჩა „ხმად მღაღა-დებლისა უდაბნოსა შინა," და ყველა ამბობდა: ჯერ ყვირილი არ მოსწყენიათ, მალე მოსწყინდებათ და გაჩუმდებიანო: ეს წინასწარმეტყველობა ყველგან არ გა-მართლდა" მაგრამ ბევრ ალაგს კი. მე ახლა მინდა აგიწეროთ მაგათი მდგომა-რეობა დაბა ქობულეთში. აქ, შეიძლება ითქვას, სავსებით აღსრულდა ეს წინას-წარმეტყველება. პირველიდანვე დიდი ამბავი დააწყეს აქ ბათომიდან ამოსულმა „ვარსკვლავებმა" და თავიანთი ბიუროც კი დაარსეს. მაგრამ როგორც ებრაელის სახლში ღორის ქონს ვერ ნახავთ, ისე მათ ბიუროში შემსვლელ კაცს ვერ ნა-ხავდით. როდესაც ბიუროში მყოფ ერთ ახალგაზრდას ძალზე მოსწყინდა, და დაა-ტყო, რომ მისი იქ ყოფნა უსარგებლო იყო, აიკრა თავისი ბარგი და გეემგზავრა შინისკენ. და „მტრების" შესახედავათ, ვითომ აქედან არ წავსულვართო ოთახი დაკეტეს და მიგ ბუხრის თავზე დიდი ლამპა დასტოვეს. მაგრამ, ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო. ოთახში თურმე ვირთხა დარჩენოდათ, შესულიყო ბუხრის თავზე, გაერბინ-გა-მოერბინა„ გადმოეგდო ლამპა და სულ ერთიანათ დაეფშვნა. ეს იყო უკანასკნელი სიგნალი, იმის მაჩვენებელი, რომ „ვარ-სკვლავები" გაქრენ და კვლავ აღარ მო-ბრუნდებიან. და ასეც მოხდა. მაგრამ ყველგან ხომ ასე არ მოხდებოდა! რადაც „მანქანების" ძალით ფედერალისტებმა ფეხი მოიკიდეს მოსწავლე ახალგაზრდობაში. და, ასე ვთქვათ, „მოდათ" შემოიღეს მოწაფეობაში ფედერალისტობა. ჩვენ ეს ძლიერ გვაკვირვებდა, მაგრამ, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, არც იმდენი გასა-კვირალი ყოფილა, ამას წინათ ერთ-ერთ გიმნაზიის მე-V კლასის მოწაფე მეუბნე-ბოდა: „ჩვენმა ახალგაზდა ქართულის მა-სწავლებელმა ისე მშვენიერათ აგვიხსნა სოციალიზმი, რომ მოწაფეები აღფრთო-ვანებაში მოგვიყვანაო." მე არ ვამბობ, რომ მასწავლებელს მოწაფეებისთვის არ უნდა აეხსნა სოციალიზმი; ეს, პირიქით სასარგებლოც არის, მაგრამ თუ თქვენ პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევა არ გინდათ, როდესაც მოწაფეებს სოციალიზმს უხსნით, უნდა აუხსნათ მისი, რო-გორც კარგი, ისე ავი მხარეები. წინა-აღმდეგ შემთხვევაში თქვენ პარტიულ პროპაგანდას ეწევით, რაც კლასში, გა-კვეთილის დროს არა სასურველი მოქმე-დებაა. დღეის სწორს გაზ. „საქართველო-შიაც" წავიკითხეთ ერთი თბილისელ მა-სწავლებლის საქციელი, რომელსაც ეთ-ქვა მოწაფეებისთვის: „წარმომიდგენია მოწაფე ფედერალისტი, მაგრამ ეროვ.-დე-მოკრატი კი ვერაო. ერთი სიტყვით მა-სწავლებლებს კლასი პარტიულ კლუბათ გადაუქცევიათ, სადაც ჩვილ ხალხში აგი-ტაციას ეწევიან. ასეთი გამოსვლების წყა-ლობით არის მოწაფეებში ფედერალი-სტობის „მოდა" მაგრამ ვშიშობ, რომ იქაც არ „დაუმტვრიოსთ ვირთხამ ლამ-პა."

**დ. უ.**

დ. ქობულეთი.

## მოწერილი ამბები.

**ქ. სამტრედია** სამი თვეა, რაც აქაუ-რი ყასბები დაატუსაღეს, მათ ბრალდებათ ჰქონდა ხორცის გაყიდვა. ამ ხანად სა-ყასბოები სულ დაკეტილია. ქალაქში ეს ერთი თვეა არ იშოვება პური, სოფლი-დან სანოვაგე აღარ შემოდის.

მცხოვრებნი სიმშილს განიცდიან ფუ-თი ლობიო ღირს 18 მან. ფუთი სიმი-ნდის ფქვილი 16 მან. სამტრედიის ბაზა-რი სულ ერთიანად დაკეტილია, მომხდარ დარბევის შესახებ, საქონელი სრულიად მოისპო და ვაჭრობის განახლებას ვერა-ვინ ბედავს. ჯარის კაცები აქ ბევრია, რომელთაც თავ თავისი ცოლებიც ჩამო-უყვანიათ. ჯარის კაცების ცოლები ხში-რათ გამოდიან ქუჩაში ლოთებული და იწევენ უწესოებას.

**მგზავრი.**

—

**სოფ. დიდი ჯიხაიში.**

ამ ჟამათ აქ იმყოფებოდა რევოლუციის გამოჩენილი ბელადი ირაკლი წერეთელი. იგი სტუმრათ არის ნიკო ნიკოლაძესთან. [illegible] ესწრო სოფლის ყრილობას და ხალხს სიტყვით მიმართა; ხალხი აღტაცებული, მიეგება ირაკლი წერეთელს, ამას წინათ ტრაღიკულათ მოკლული ილიკო ქუ-თეთელაძის ცოლშვილს დაუნიშნეს შესანახი ხარჯი. სიმინდის და ღვინის მოსავალი წრეულს კარგი იყო. მაგრამ ხალხი შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ სოფელში სრულებით აღარ იშოვება ფართლეულობა, ფეხსაცმელი, წამალი და სხვა შემოზიდული საგნები.

ამ ჟამათ ფუთი სიმინდი ღირს 8 მა-ნეთად. დიდი ფასი აქვს აგრეთვე ქათმებს, გოჭებს და ხარს ეს უკანასკნელი წელს ჭირმ გასწყვიტა. სოფელს მოედო ვე-ნერიული ავადმყოფობა, რომელიც ჯარის კაცებმა შემოიტანეს.

ადგილობრივ ოთხკლასიან სკოლის გა-მგე ჩიკვაიძე დააპატიმრეს. როგორ არა კეთილ საიმედო პირი და მის თანამდე-ბობას დროებით ასრულებს მასწ. რუხაძე.

წელს საქონლის ჭირმა დიდ-ჯიხაიშს დიდი ზარალი მიაყენა.

**აქაური**

## წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელ №-ში დამისტამბოთ შემდეგი: თქვენი გაზეთის № 152-ში ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა შალების გაზიდვის აკრძალვის გამო, სადაც ნათქვამია, რომ თითქო ხონის ქალაქის თავს მიეცეს წი-ნადადება სასურსათო კომიტეტისათვის ზომები იქნეს მიღებული შალების გაძვი-რების წინააღმდეგ. ეს ცნობა პირდაპირ ეწინააღმდეგება სიმართლეს. სასურსათო კომიტეტმა აღკრძალა ქუთაისის გუბერ-ნიიდან შალების გაზიდვა; ამან დასცა ფა-სები და გამოიწვია შალის გამყიდველთა შორის უკმაყოფილება. ამის გამო მე დე-პეშით ვსთხოვე საგუბერნიო კომისარს და საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს დაუ-ყონებლივ გაეუქმებიათ დადგენილება შა-ლების გატანის აღკრძალვის შესახებ, რა-თა ამ გზით თავიდან აეცილებია ჩვენთვის მოსალოდნელი სამწუხარო შედეგი.

ხონის ქალაქის მოურავი **ივ. ჭავჭანიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დი-ლის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინ-ატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.


სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში